პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2024 წლის ----- ნოემბერი, ქალაქი ბათუმი

„მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის №გ-15.15203582 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. „მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის №გ-15.15203582 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ იმ მრავალშვილიან ოჯახებს (მათ შორის იმ ოჯახებს, რომელთა ოჯახის უფროსი წევრებიდან (დედა ან/და მამა) ერთ-ერთი რეგისტრირებულია ქალაქ ბათუმში), რომლებიც 2018 წლის 1 იანვრამდე დარეგისტრირდნენ ქალაქ ბათუმში.“.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30) მისი დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ **ირაკლი თავდგირიძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის №გ-15.15203582 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის №გ-15.15203582 განკარგულებით დამტკიცდა მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამა. აღნიშნული განკარგულების, მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ იმ მრავალშვილიან ოჯახებს, რომლებიც 2018 წლის 1 იანვრამდე დარეგისტრირდნენ მერიის შესაბამისი სამსახურის მონაცემთა ბაზაში. შესაბამისად, პროგრამით სარგებლობა არ შეუძლიათ იმ მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთა ოჯახის უფროსი წევრებიდან (დედა ან/და მამა) ერთ-ერთი 2018 წლამდე რეგისტრირებული იყო ბათუმში, თუმცა არ იყო რეგისტრირებული ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მონაცემთა ბაზაში. იმის გათვალისწინებით, რომ განკარგულების მიზანია ბათუმში დამკვიდრებული მრავალშვილიანი ოჯახების ბინით უზრუნველყოფა, მიზანშეწონილია 2018 წლამდე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის ფაქტის ნაცვლად სავალდებულო პირობად ჩაითვალოს 2018 წლამდე ოჯახის უფროსი წევრებიდან (დედა ან/და მამა) ერთ-ერთის 2018 წლამდე რეგისტრაციის ფაქტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განკარგულების მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდება შემდეგნაირად:,

- „ე) პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ იმ მრავალშვილიან ოჯახებს (მათ შორის იმ ოჯახებს, რომელთა ოჯახის უფროსი წევრებიდან (დედა ან/და მამა) ერთ-ერთი რეგისტრირებულია ქალაქ ბათუმში), რომლებიც 2018 წლის 1 იანვრამდე დარეგისტრირდნენ ქალაქ ბათუმში.“

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის №გ-15.15203582 განკარგულებით დამტკიცებულ მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამაში ცვლილების შეტანა და პროგრამით სარგებლობის მიცემის შესაძლებლობა იმ ოჯახებისათვის, რომელთა უფროსი წევრებიდან (დედა ან/და მამა) ერთ-ერთი 2018 წლამდე რეგისტრირებულია ბათუმში.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელების შემთხვევაში, პროგრამის შესაბამისად მოხდება იმ მრავალშვილიანი ოჯახების ბინით უზრუნველყოფა, რომელთა უფროსი წევრებიდან (დედა ან/და მამა) ერთ-ერთი 2018 წლამდე რეგისტრირებული იყვნენ ბათუმში.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსი **დავით კოპინაძე**